პარასკევი, 1918 წ. ივნისის 21 № 115
წელიწადი მეორე

პარასკევი, 1918 წ. ივნისის 21 № 115
ფ ა ს ი 30 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშ...ლ უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

ქვრივი ეკატერინე ოქროპირის ასული ერისთავისა, შვილები: ალექსანდრე, ნოე, ისიდორე და იოსები (ევსევი) ბიჭიას ძენი ერისთვები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარლის მეუღლის, ხოლო მეორენი ძვირფასი მამის

ბიჭია (პლატონ) სიმონის ძის ერისთვისას,

რომლის გამოსვენება მოხდება დღით შაბათს, 22 ამა ივნისს, სოფელ სალომინაოში. 2—1

ექიმი ივ. ბოკერიას ხირურგიული და გინეკოლოგიური საავათმყოფო მოსალოგინებელი განყოფილებით გაიხსნა და დასაწოლი ავათმყოფების მიღებაც განახლდა.
მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან, ქალაქის გამგეობის პირდაპირ. 31—თ.

ე ქ ი მ ი
გ. ა. ეზიკაშვილი
მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

მსურს დავიქირავო
ორი, სამი ან ოთხი დიდი სინათლიანი ოთახები სამთო უბანში. სასურველია მეორე სართული.
მისამართი: „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია ალ. თორაძე.

ექიმი ი. მ. პაპისოვი
(ბათომიდან)
განსაკუთრებით ღებულობს სიფილისით, ვენერიულ და კანის ავათმყოფობით.
(შეშხაპუნება „606“ და „914“ ერლიხის პრეპარატების).
მიიღებს: 10—12 ს. და 6—8 ს. კვირაობით 10—12 საათ.
თფილისის ქუჩა, ეზიკოვის სახლი, კომერციულ სასწავ. პირდაპირ. (თვ.) 14

УЧИТЕЛЬНИЦА
нѣмецкаго языка
ищетъ уроки за столъ и квартиру.
Писменныя предложенія будутъ приниматься въ редакцій газеты „Чвени Квекана“. 1—1

## ერთი საქართველო.

მძიმეა, საზოგადოდ, ქუდი მონამაქისა ქვეყნის პატრონისა, ქვეყნის გამგებელისა და ეს ქუდი უფრო მძიმე გამოდგა, როდესაც ბრმა განგებამ იგი ჩვენს სოციალ დემოკრატებს დაახურა თავზე, როდესაც უკუღმართი რუსეთის უკუღართმა ბედის ტრიალმა ჩვენი სოციალ-დემოკრატები ამოატივტივა ახალ-საქართველოს ცხოვრების ზედაპირზე და ამ მრავალტანჯულ ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავენი ხელში ჩაუგდო!...

ვინ არ იცის, რომ სოციალისტები საზოგადოდ და სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით, ვერ იქნებიან **მთელი** ქვეყნის მომვლელები და ყურის მგდებელები. მათთვის არსებობს მხოლოდ ერთი კლასი, ერთი ჯგუფი ამა თუ იმ ქვეყანაში მცხოვრებთა: ეს კლასია კლასი **პროლეტარებისა (ჩოგანოსებისა) მხოლოდ**, დანარჩენი მშრომელები კი (მიწის მუშები, გონებით მომუშავენი, წვრილი მესაკუთრენი და საზოგადოდ, მთელი ხალხი, დემოსი, დემოკრატია, ერი საქართველოის) პროლეტარების გამოკლებით, რასაკვირველია,— სოციალ დემოკრატებისათვის მეტი ბარგია. უკეთეს შემთხვევაში კი მასალაა თვის მიზნების მისაღწევათ— პროლეტარიატის დიქტატურის,—ხელმწიფების, დასამყარებლად და სოციალიზმის განსამტკიცებლად...

მაგრამ დემოკრატია ყველა ქვეყანაში და საქართველოშიც, უმრავლესობაა. დემოკრატიაა უმთავრესი ძარღვი ქვეყნის არსებობისა, დემოკრატიაა ფუძე და საძირკველი ქვეყნის უკეთესის მომავალისა, ადამიანური ცხოვრებისა და ადამიანური ურთიერთობის შემქნელი...

პროლეტარიატი სულ მცირე ნაწილია დემოკრატიისა, იმდენად უმნიშვნელო ნაწილი, რომ სათქმელადაც არა ღირს. ჩვენში, საქართველოში, ხომ თითებზე ჩამოითვლება. აი ამ **მცირე** ნაწილს სხვა და სხვა ქვეყნების დემოკრატიისას განზრახვა აქვს ჩაიგდოს ხელში მთელი ქვეყანა, მოსპოს კერძო საკუთრებაზე საუკუნოებით დამყარებული თანამედროვე წესი ცხოვრებისა და დაამყაროს **თავისი ბატონობა**.

როგორც ხედავთ, პრეტენზია და მადა გოლიათისა ჰქონია ამ პროლეტარიატს, მაგრამ ღონე კი კოლოსი აქვს, ქვეყნის დემოკრატიასთან შედარებით; ამიტომ მისი ხელმძღვანელები ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ გადმოიბირონ დემოკრატია და იგი იარაღად გაიხადონ... თუმც პროლეტარიატსა და მის ხელმძღვანელებს, ამავე დროს, ჰკირივით **სძულთ დემოკრატია**—ეს უძლიერესი დამცველი კერძო საკუთრებისა, საკუთარის თაოსნობისა, საკუთარი სულისა და ჭკუისა!

— ყველაზე **დიდი მტერი** პროლეტარიატისა **დემოკრატიაა**! ბრძანებს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანია და ამავე დროს კი ლაპარაკობს დემოკრატიის სახელით და თავისი პარტია ჰგონია ერთად ერთი დემოკრატიული პარტია*).

რა არის ეს გაუგებრობა, თუ ბოროტი განზრახვა? დაცინვაა თუ დაწიხვლა?

ჩვენში, საქართველოში,—სადაც **პროლეტარი** თითქმის არ მოიპოვება, სოციალ-დემოკრატების ბატონობა დაცინვაც არის ბედისა და დაწიხვლაც გარემოებისაგან...

მტერი და დამაწყევარი დემოკრატიისა საათამშ...ადგა... ხალხს, დემოკრატიას; მოძულე და მავნებელი დემოკრატიისა, ხალხისა, გაბედნიერებას ჰპირდება საქართველოს!

განა ეს შესაძლებელია? განა ეს წარმოსადგენია?

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ყოფნას საქართველოისას რუსეთის ხელში, ეს ასეც უნდა მომხდარიყო...

ერი დამონებული, ერი გზა კვალ აბნეული, ერი უპატრონო და უთვითნებო, მაგრამ სიცოცხლის მოსურნე—ხავსს მაინც უნდა მოსჭიდებოდა გადასარჩენად და ეს ხავსი არის ჩვენებური სოციალ-დემოკრატია, რომელიც გაბედნიერებას ჰპირდება მთელ კაცობრიობას.

ასრულდება, თუ არა ოცნებანი სოციალ-დემოკრატებისა, ეს ჩვენ არ ვიცით, —მხოლოდ ის კი ვიცით, რომ განთავისუფლებული საქართველო მათ აღარ გაჰყვება... ეს აგრძნობინეს კიდეც მათ მთავრობის **დეკლარაციის** წაკითხვის დროს...

მართალია ჩვენი სოციალ-დემოკრატები პირიდან ცეცხლსა ჰყრიან ამ წინააღმდეგობისათვის და გვემუქრებიან კიდეც, მაგრამ ფიზიკური ძალა არასოდეს არა ყოფილა ქვეყნის ამშენებელი და ერის გამაბედნიერებელი.

ქვეყანას აშენებს და ერს აბედნიერებს ზნეობრივ—გონებრივი ძალა, ჭკუა და მოსაზრება და ეს კი ჯერ იმდენი შერჩენია ჩვენ ხალხს, ქართველ ხალხს, რომ იგი ვერავინ დაიმორჩილოს თავის პარადი მიზნების აღსასრულებთად.

ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოს ზურგზე ორმოცი საუკუნის კულტურა-გამოცდილება ჰკიდია და რაკი ბედმა გაუღიმა და კვლავ შესდგა თავის მშობლიურ გზაზე (არა სოციალდემოკრატების მოწყალებით, რასაკვირველია), იმასაც მოახერხებს, რომ იყოს **ერთი საქართველო**, ძლიერი, თავისუფალი და განუყოფელი! —

*) იხ. ნოე ჟორდანიას წიგნაკი „სოციალ დემოკრატია და სხვა“.

## ჩვენ ისევ მოვალთ!

მთავრობიდან ჩვენმა გასვლამ სოციალ-დემოკრატების სულიერი მშვიდობა დაარღვია.

გამოირკვა, რომ ფრეილანის ქუჩა ხელ საყრელი იყო მათთვის, „რუსთველის ქუჩა“ კი არა...

გამოირკვა, რომ ჩვენი უმცირესობით მათთან ყოფნა მათი ანარქიული მთავრობის ავტორიტეტს ამაგრებდა, ხალხის თვალში მეტ ღირსებას მატებდა.

გამოირკვა, რომ მთავრობიდან ეროვნულ- დემოკრატების გასვლით ისინი ხალხში ავტორიტეტსაც კარგავენ და ღირსებასაც.

გამოირკვა მრავალი სხვა რამეც და ეხლა მხოლოდ იმას ვწუხვართ, რომ ყოველ ამ ს... ...ხდა.

გვიან მოხდა, რადგან „რესპუბლიკანური წესწყობილების დამყარების“ ხანაში ანარქიულ დეკრეტებს სწერდენ და ჩვენც მათთან ვიყავით.

გვიან მოხდა, რადგან „რევოლუციის მონაპოვართა“ შენარჩუნების ცდაში ლეჩხუმ-სამეგრელოს **ტრაგედიას** ამწიფებდენ და ჩვენც მათთან ვიყავით.

გვიან მოხდა, რადგან „ომის ქარცეცხლიდან სამშობლოს გადარჩენის“ სახელით ბათომ-ახალ ქალაქი-ახალციხე ოსმალეთს შესთავაზეს და ჩვენც მათთან ვიყავით.

გვიან მოხდა, რადგან ჯარს შლიდენ „ბანდას“ აგროვებდენ და ჩვენც მათთან ვიყავით.

გვიან მოხდა, რადგან საქართველოს სუვერენობის ისტორიულ მტრებთან ერთად თანამშრომლობდით დღემდის.

განა ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ არ ვზიდეთ ყოველივე მათი დანაშაული?

არა სოციალისტების მეცადინეობით, ან ხალხზე ჩვენი უმნიშვნელო გავლენით არამედ საერთაშორისო ძალთა განწყობილების მეოხებითაა დღეს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ჩვენდა სასახელოდ ითქმის მხოლოდ ის, რომ ეს საერთაშორისო ძალთა განწყობილება თავიდანვე გავითვალისწინეთ.

ამ შესაძლებელი ობიექტიური პირობების თანახმად მუშაობდენ ჩვენი თავდადებული თანამოაზრეები საზღვარგარედ.

ასეთივე პოლიტიკური გეზი გვექირა შიგნითაც, საქართველოშიდაც.

აქეთკენ ვუთითებდით ჩვენი ხალხის მართველ წრეებსაც, მაგრამ არა...

მიდიოდენ ტრაპეზუნდ-ბათომში თავიანთი სურვილით, რათა სამარცხვინო დამარცხება რგებოდათ წილად.

არ მიდიოდენ ბრესტში, სადაც გამარჯვება შეგვეძლო.

რადგან იქ წასვლას ჩვენ ვურჩევდით.

მიდიოდენ რუსეთში თავიანთი ჟინიანი სურვილით, სადაც მათი უკანასკნელი თქმით „რევოლუცია დაიმარხა“.

არ მიდიოდენ გერმანეთში, საიდანაც მათივე თქმით „რევოლუციის მონაპო-

ვართა“ შენარჩუნებაც შეიძლება, არ მიდიოდენ რადგან ჩვენ ვთხოვდით.

და ვინ იცის კიდევ სად არ მიდიოდენ და რას ლებულობდენ ისინი ჩვენი თანამშრომლობის დროს, ჩვენი სურვილების წინააღმდეგ, რათა შემდეგ ყველგან წასულიყვენ და ყველაფერი მიეღოთ ვითომ ჩვენი სურვილების წინააღმდეგ, ჩვენდა დასამარცხებლად.

ნამდვილად კი ვიმარჯვებდით ჩვენ.

მაგრამ როგორ და რაში?

ვიმარჯვებდით საგარეო ძალთა განწყობილების გაგების საქმეში.

ვიმარჯვებდით საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტად ქცევის გრანდიოზულ პროცესში.

მაგრამ...

ვიმარჯვებდით სხვისი სახელით, სხვისი ხელით.

ვიმარჯვებდით საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული მოწინააღმდეგების სახელით.

და, აი, ამაში იყო ჩვენი გამარჯვების ტრაგედიაც.

ეს იყო საბედისწერო საეჭვო ხალხის მქირდავი ზეიმი თეთრ სასახლეში.

ეს იყო საქართველოს დღესასწაული უჩვენოთ.

ეს იყო მზაკვრული მითვისება ჩვენი იდეების, რათა შემდეგ ისევ მზაკვრულად შეგვაქკნონ ხელში ჩვენი პოლიტიკური მრწამსი.

და შემდეგ უკანასკნელად გვითხრან: თქვენც ხომ ჩვენთან იყავით.

მაგრამ უკაცრავად!

ჩვენ გავედით ასეთი საეჭვო ხალხის მთავრობიდან ეხლა...

და—დავბრუნდებით მაშინ, როდესაც თქვენ არ იქნებით.

როდესაც საქართველოს სუვერენობა მისთვის წამებულთა ხელში გადავა.

როდესაც პოლიტიკურ მლიქვნელობას ადგილი არ ექნება.

მანამდის კი თუ დავმარცხდით, დავ- [illegible]

ეროვნული სინიდისი და მრწამსი არ შეგველახება მაინც!

და შემდეგ საქართველოს მოღალატეებს მეტის გამბედაობით, მეტის რისხვით მოვევლინებით. დიაღ, ჩვენ ისევ მოვალთ, და მოვალთ არა როგორც სტუმრები, როგორც არა მკითხე მოწმენი, არამედ მოვალთ, როგორც მასპინძლები,

კალე.

## საქართველოს მთავრობის მოქმედება

### მთავრობის წრეებში.

საქ. ეროვნულ საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციამ მოისმინა მოხსენება ბაქოს ქართველების აუტანელ მდგომარეობის შესახებ და დაადგინა: ეთხოვოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს, მიჰმართოს წინადადებით ბაქოს მთავრობას დახმარება აღმოუჩინოს ქართველების იქიდან საქართველოში გადმოყვანას. იკისროს მისცეს საჭირო რიცხვი რკინის გზის ვაგონებისა, გამოაცხადოს საკუთრებათ პასუხის მგებლობით რკინის გზის იმ პუნქტამდე, სადამდინაც ეს მას შეუძლია. რაც შეეხება დანარჩენ გზას, ამაზე უნდა იზრუნოს თითონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც სათანადო მოლაპარაკებას გაჰმართავს ადერბეიჯანის მთავრობასთან. რაც შეეხება იმ ვაგონებს და ორთქლმავალებს, რომლებიც საჭირო იქნებიან წამოსულების გადმოსაყვანად, ამის შესახებ პრეზიდიუმი აძლევს ბაქოს მთავრობას სრულ გარანტიას, რომ ისინი დაუბრუნდებათ-მათ უკან. დაახლოვებით ამ შინაარსის დეპეშა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ გუშინ უკვე გაგზავნა ბაქოში.

— ყვირილის მუშ. ჯარ-კ. და გლეხთა დეპ. საბჭომ 16 ივნისის სხდომაზე განიხილა საბჭოების გაუქმების საკითხი და საკითხის დაადგინა დიდი მნიშვნელობის გამო წინადადება მისცეს გაერთიანებულ ცენტრს უახლოეს დროში მოიწვიოს საბჭოების ყრილობა ამ საკითხის გადასაწყვეტად.

— თბილისის მუშ. და ჯარ.-კ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიიღო ეროვნულ საბჭოს სოც.-დემოკრატების ფრაქციის პროექტი წითელი გვარდიის კანონისა. წითელი გვარდიის მთავარ შტაბში არჩეულ იქმნენ: ჟორდანია, წერეთელი, მახარაძე, ცინცაძე, ვოინტინსკი, ქარცივაძე, ჯუღელი, მაისურაძე, დგებუაძე, ვ. ჯიბლაძე შენგელია, ნ. კახიანი, სალირიშვილი, ვარდოიანი, აუშტროვი, ორაგველაძე, გოგიშვილი და გლახოიანი.

— ზაქათალის ოლქის სომეხთა კომიტეტმა გაუგზავნა თხოვნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს და საინგილოს წარმომადგენელს საბჭოში რ. ივანიცკის, რათა ეროვნულ საბჭოში აღძრან საკითხი ზაქათალის ოლქში ქრისტიანების შევიწროვების შესახებ.

## საქართველოს ფინანსები

მთავრობის სხდომაზე ივნისის 17-ს დადგენილ იქმნა: ჩვენი ფინანსების საქმეთა მოსაწესრიგებლად, რომელიც არსებული პირობების გამო არანორმალურ მდგომარეობაშია, წინადადება მისცეს ფინანსთა მინისტრს:

ნება დართოს საკრედიტო დაწესებულებებს განაახლოს ნაღდი ფულის შეტანა მიმდინარე ანგარიშზე იმ პირობით, რომ ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ შეტანილი ნაღდი ფული ნაღდადვე მიეცემათ უკან ფულის შემნახველთ;

განკარგულება გასცეს სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში და ადგილობრივ ხაზინებში, რომ საკრეტიდო და წესებულებათა და კერძო პირების მიერ შემოტანილ ნაღდი ფულიდან სათადარიგო თანხა შეადგინოს, რომელიც სხვა მიზნებისათვის არ იქმნება მოხმარებული, რათა სახელმწიფო ბანკის კანტორამ პირველ მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს ფული შემნახველებს.

რაც შეეხება იმათ, ვისაც ძველად ჰქონდა შენახული, საფინანსო საქმეების მოგვარებამდე მათ იმავე წესით მიეცემათ ფული, რომელიც ბანკების მიერ არის დანიშნული, როგორც დღემდე იყო.

ამ ჟამად კი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საფინანსო საქმეების მოწესრიგების და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების მიზნით, არას შემთხვევაში არ მოახდენს საქართველოს ტერიტორიაზე იძულებითი სესხს იმ თანხიდან, რომელიც მიმდინარე ანგარიშზე იქნება შეტანილი საკრედიტო დაწესებულებებში.

## დონის ახალი მთავრობა

შესდგა დონის ახალი მთავრობა.

თანახმად შემდგარი კანონების მე-3, 38, 42, და 47 მუხლებისა დაინიშნენ: 1) გენერალური შტაბის ნაწილების [illegible] — გენერალ-მაიორი ბოგაევსკი 3) სამხედრო და საზღვაო უფროსად — გენერალ-მაიორი დენისოვი. 4) ფინანსები — მ. გ. ნორუენოვსკი. 5) ვაჭრობისა და მრეწველობის — ნ. ე. პარამანოვი.

6) სახალხო განათლების — ნ. ვ. სვეტოზაროვი. 7) იუსტიციის — ნ. მ. ზახაროვი. 8) გზათა მიმოსვლის — ინჟენერი კარელინი 9) შინაგან საქმეთა — გ. პ. იანოვი. 10) მიწად-მომწყობისა და მიწადმოქმედების — ი. ტ. სემიონოვი. 11) მხედრობის კონტროლიორად, დროებით, ნ. ვ. მალოვსკი. 12) მხედრობის მდივნად — ნ. ნ. რეშეტოვსკი.

## უკრაინა.

### სოც. დემ. მენშევიკთა შორის.

სრულიად უკრაინის სოც. დემოკრატიულმა პარტიამ თავის წევრებს მისცა დირექტივები, რომ მთავრობაში არ მიიღონ საპასუხისმგებლო თანამდებობა. სოც. დემოკრატები დაიკავებენ მხოლოდ არა საპასუხისმგებლო თანამდებობას. ისინი იხელმძღვანელებენ პარტიულ დირექტივებით. მილიციაში სამსახური პარტიის წევრებისათვის აკრძალულია. განახლებულ ცენზიან ქალაქის თვითმართველობებში პარტიის წევრებისაგან თანამდებობის მიღებაც აკრძალულია.

### ქ. ეკატერინოსლავი.

—ადგილობრივმა ებრაელთა პოლიტეხნიკუმმა უმაღლესი სასწავლებლის უფლება მიიღო.

—ბერდიანსკში დახურეს პროფესიონალური კავშირის ცენტრალური ბიუროს გაზეთი. სტამბა ჯარმა დაიკავა.

### მიწების ყიდვა.

**პოლტავა.** ნატარიუსთა კანტორებს დიდძალი ხალხი აწყდება მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ საბუთების შესადგენად. ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა შე-

---

## აღსარება.

(მოთხრობა.)

1.

.... ჩემმა ხელმოკლეობამ თუ უცნაურმა შემთხვევამ საცხოვრებლად, — ლუკმა პურის საშოვნელად, — აქეთ გადმომტყორცნა.

ახალგაზრდაც აღარ გახლავართ: ზურგზე ორმოცდა მეექვსე წელიწადი წამომეკიდა.

არც უმეცარი ვარ: თუ-კი უშნო, ულაზათო, უკეთურ, უზნეო და უხასიათო რუსეთის უნივერსიტეტის დიპლომს რაიმე მნიშვნელობა ჰქონია, ან კიდევ აქვს, — მეც მიდევს ჯიბეში რუსეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის დიპლომი!

ამ დიპლომის მეოხებით შემეძლო შევსულიყავ ძველი რეჟიმის სახელმწიფო დაწესებულებაში, ჩავრიცხულიყავ, მაგალითად, „კანდიდატათ სამოსამართლო თანამდებობაზე“, მეწმინდა ნატერფალი საოლქო სასამართლოს უფროსისა, ვყოფილიყავ მის შინაურ მესაიდუმლედ და რამდენიმე წლის შემდეგ გავმწესებულიყავ სადმე მსაჯულის თანაშემწედ მაინც. რევოლუციამდე ეს საპატიო თანამდებობა იყო.

ან დამეწყო ვექილობა, მაგრამ უკაცრავად...

ცოტა ხანს ნაფიცი ვექილის თანაშემწედ კი გახლდით. პირველად დავიცავი „ინტერესები“ ერთის მეეტლისა, რომელიც მთვრალ მგზავრს გაეჯოხა და არც ფული მიეცა.

ეს საქმე ჩემი კლიენტის სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ კლიენტი კი დამემალა და არა მომცა რა!

უნდა დამეცვა მეორე საქმეც:

ერთს უსახიერო და პირალია მღვდელს ლამაზი და ბუტკუცუნა ცოლი მოსტაცა ვიღაც სტუდენტმა...

ცოტა ხნის შემდეგ ცოლმა მღვდელს მოციქულები გამოუგზავნა: „ის ფორტეპიანო, რომელიც ვითომდა შენ მომიძღვენ, ჩემი მზითვის ფულებით არის ნაყიდი, გამომიგზავნე, თორემ მოვა ჩემი რაინდი და სულ ყბებს დაგამტვრევსო.

ასტყდა დავა.

მე გამოველ მღვდლის დამცველად.

გაქცეული ცოლის ქომაგად კი იყო ახალგაზრდა მჭევრმეტყველი ვექილი, რომელსაც ახლა ბედმა მინისტრობა არგუნა!

ამას, სხვათა შორის, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ეჭვი არ შეიტანოთ ჩემს აღსარებაში, თორემ სად მე და სად მინისტრი!..

ორჯერ დაინიშნა საქმის გარჩევა. ახლანდელი მინისტრი და მაშინდელი მკვირცხალი, ჭეშმარიტად მალხაზი ვექილი, რაღაც მიზეზებისა გამო არ გამოცხადდა. არ გამოცხადდენ მოწმენიც. საქმე გადაიდო და, მგონია, ეს საქმე დღესაც გასარჩევია!

ამასობაში მე დავიცავი მესამე საქმე:

ვიღაც ჩარჩი ერთს ქვრივ-ოხერ დედაკაცს ვენახს ედავებოდა.

ჩარჩის ვექილი გახლდით მე. საქმე ირჩეოდა სურამში... მოვიგე საქმე იგი, თუმცა ბევრი მწყევლა საბრალო დედაკაცმა, მაგრამ რუსის კანონმა (და საზოგადოდ ყველა კანონმა) შებრალება არ იცის და ამიტომ, როგორც ვექილი, ჩემსასა ვცდილობდი.

ან რომელი ვექილი ყოფილა დღევანდლამდე რუსის სასამართლოში, რომ თავისთვის არა ცდილიყოს? მეც ნუ გამამტყუნებთ!

ვექილობა ისეთივე წმინდა საქმეაო — ამბობენ, — როგორიც არის, მაგალითად, ექიმობა.

განა ექიმს შეუძლია უარი უთხრას ავათმყოფს წამლობაზე, იქნება იგი ავაზაკი, სოციალ-დემოკრატი, თუ ნაციონალ-დემოკრატი? ან რა იცის ვისა სწამლობს?

მეც რა ნება მქონდა არ გავყოლოდი თუნდაც ჩარჩს, როცა რუსის კანონით ვექილი მოვალე არ არის ანგარიში გაუწიოს თავის კლიენტის ვინაობას. უპირველესი საბუთია, დოკუმენტია! მე ვიცნობ, მაგალითად, ერთს გამოჩენილს სოციალისტს, რომელმაც ახლად ნაშოვნ დოკუმენტების ძალით მოითხოვა „სადაც ჯერ არს“ აზნაურობა მიბოძეთო. მართალია დღეს იგი პირველი მტერია თავად-აზნაურებისა, მაგრამ ეს ამბავი მოხდა რევოლუციამდე.

ვიცნობ მეორე სოციალისტსაც, დაუძინებელ მტერს თავად-აზნაურებისავე, რომელიც თავადის გვარს კი ატარებს და თავადადაც იცნობს თავისი პარტია. ალბად ამასაც საბუთი, დოკუმენტი ექნება რამე, თუმცა ისეთივე ქალამნიან დიაკვნის შვილია, როგორც თქვენი უმორჩილესი მონა, — ქვემორე ამისა ხელის მომწერელი.

უკაცრავად, აქ ცოტა ფაქტიური შენიშვნა უნდა შევიტანო: შემდეგში მამაჩემი მღვდლად აკურთხეს, სოციალისტ „თავადის“ მამამ კი, თუ არა ვცდები, მგონია, დიაკვნობაშივე წაიღო თქვენი ჭირი.

მე ვიცნობ აგრეთვე მესამე დაუძინებელ მტერს მთელი ქვეყნის ბურჟუებისასა და თავად-აზნაურობისას, სახელგანთქმულ ბელადს ერთერთი სოციალისტურის პარტიისას, რომელმაც იმ დოკუმენტის ძალით მის სემინარიელობას რო ამტკიცებდა, მოითხოვა მღვდლად მაკურთხეთო, უნდა ეკურთხებინათ კიდეც, მაგრამ პირველმა რევოლუციამ მოუსწრო. დოკუმენტი იგი დღესაც ინახება „სადაც ჯერ არს“ და შეიძლება ისე, შურის-საძიებლად რომელიმე მღვდელმა გამოაქვეყნოს კიდეც, რადგანაც სოციალისტი იგი ყველა ჯურის ანაფორიანებს დღეს გაკრეჭით ემუქრება...

მაგრამ უკაცრავად, მგონია, ავცდი ჩემი საუბრის საგანს, მე უნდა მომეხსენებინა ჩემი თავგადასავალი და რაღაც დოკუმენტებზე კი დავიწყე ლაპარაკი!

ასე იცის სიბერემ... მაპატიეთ!..

ჰო, იმას ვამბობდი: საქმე მოვიგე პირველ ინსტანციაში. დედაბერი მიმხვდარა, რომ ჩემი წყევლით ვენახი აღარ დაუბრუნდებოდა და საქმე მეორე ინსტანციაში — ტფილისის საოლქო სასამართლოში განუსაჩივრებია.

ხელმეორედ გამოცხადდა ჩემთან ჩარჩი და დამეღრიჯა:

— შენი ენა-პირის ჭირიმე, ოღონდ-კი ისევ შენ გამოდი ჩემს საქმეში და ერთი ორად მოგართმევო! — მეხვეწებოდა...

დავფიქრდი... გამახსენდა დედაბერი მისი წუწუნი, მაგრამ...

დამიჯერებთ? საღამოს ხუთი საათი იყო და იმ დღეს ცოლშვილიანად მშივრები ვიყავით.

დაველაპარაკე ჩარჩს. ბეი გამოვართვი, — ხუთი თუმანი!

კლიენტი წავიდა, მე კი სიხარულით დავუძახე ჩემიანებს, მივეცი ჩემს მეუღლეს (რა ჩინებული სიტყვაა!) ერთი წითელი თუმანი და ვუთხარი:

— აბა, ჩემო კარგო, მშვენიერო, კეკლუცო და სხვადასხვა, გასწი მეწვრილმანესთან, იყიდე კუპის დმერთი, ერთი ბოთლი ღვინო და მოირბინე მეთქი.

იძინოს ცნობილი ხირურგის სკლიფოსოვსკის ქვრივის კულტურული მამული, რომელიც ფასობს 1,200,000 მანეთად.

**ოდესის გაზეთები.**

ოდესაში გაზეთებზე წინასწარი ცენზურა შემოიღეს, ამის გამო ადგილობრივმა გაზეთებმა პროტესტი განაცხადეს. 19 მაისს გარდა გაზ. „სამშობლო მხარისა" არც ერთი გაზეთი არ გამოსულა. მუშებმა პროტესტს მხარი დაუჭირეს. გაზეთები მოითხოვენ რომ წინასწარი ცენზურა მოხსნილი იქმნას,

**მიწების ყიდვის გარშემო.**

ოდესაში გაჩნდენ აგენტები, რომელნიც მიწებს ყიდულობენ გერმანელთა კოლონიების გასაშენებლად. ფიქრობენ გერმანიიდან რუსეთში გადმოასახლონ ღირსეული გერმანელები. ამ დღეებში იყიდეს ორი დიდი მამული თითო დესეტინა 1,500 მანეთად. ერთი მამული უდრის 2500 დესეტინას და მეორეც 1500 დესეტინას.

**საზღვარგარეთელი საქონელი.**

კიევში მოვიდა ცენტრალურ სახელმწიფოთა პირველი ტრანსპორტი სასოფლო მანქანებით.

# უკანასკნელი ცნობები

**კოლონისტების განცხადება.**

გერმანელ კოლონიის ალექსანდრფელდის მცხოვრებმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს განცხადებით მიმართეს, რომელშიდაც ნათქვამია, რომ სოფ. გომარეთის მცხოვრებლებმა თვითნებობით მიითვისეს მიწები, რომელიც კოლონისტებს ეკუთვნოდა. კოლონისტები თხოულობენ, რომ ეს მიწები გომარეთლებს ჩამოერთვას და მათ უკანვე დაებრუნოს. ეს განცხადება გადაეცა მიწად მოქმედების მინისტრს, რომ სასწრაფო ზომები მიიღოს.

**რუსული მონარქისტული ჰიმნი**

ივნისის 19, ღამის 11 საათზე კადეტთა კორპუსის შენობიდან ისმოდა გაძლიერებულ გუნდის მღერა „боже царя храни"-სა, რამაც გავლელ ხალხთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხმა იმდენად ძლიერი იყო რომ შორს ისმოდა გვირგვინ დამხობილ მეფის სადიდებელი. კორპუსის წინ თავ მოყრილმა და აღშფოთებულმა ხალხმა აცნობა ეს მეორე კამისარიატს. რა ზომები მიიღო ამ უკანასკნელმა გამოურკვეველია.

**ხაზინის გაძარცვა.**

გუშინწინ დილით საველე ხაზინა გაძარცვეს, წაღებულია 168,000 მან. ამაში რუსული ფულია 68,000 მან. სხვა ამიერ-კავკასიის ბონებია. ხაზინა გაუძარცავთ მცველებს.

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**გერმანელთა წარმომადგენლების და ფოთის მუშების შორის მომხდარი მოლაპარაკება** 18 სა და 19 ივნისს ქალ. ფოთში მოხდა მოლაპარიკება ფოთის მუშებისა და გერმანეთის წარმომადგენლების შორის. მოლაპარაკება შეეხებოდა შავიქვით ვაგონების გადაჰვირთვას. მოლაპარაკებას დაესწრო მიწადმოქმედების მინისტრი ხომერიკი და ქუთაისის გუბერნიის კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი. გერმანელებსა და მუშებს შორის შეთანხმება მოხდა. ვაგონების გადაჰვირთვაში მუშებს ავანსათ მიეცემათ 20 მანეთი. უკანასკნელ ფასებს კი შემდეგში შეერთებული კომისია გამოიმუშავებს. ბინის ამანოს და სხვა მოთხოვნილების შესახებ მუშები დაკმაყოფილეს, რომ შეთანხმება არ მომხდარიყო იმ შემთხვევაში გერმანელებს აზრად ჰქონიად დაექირავებიათ ჩინელი მუშები.

✦ **აბრეშუმის პარკის მოსავალი.** როგორც იმერეთის სხვადასხვა სოფლებიდან გვატყობინებენ წელს აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი იქნება. ჭიები პარკების გაკეთებას უკვე შედგომია.

✦ **წინადადება.** საბრეშუმო სადგურის გამგემ ი. ქუთათელაძემ მთავრობის მონდობილობით ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭოში განცხადება შეიტანა რომ აბრეშუმის პარკს შეუძლია მისცეს, ჩვენს ახალ მთავრობას დიდძალი თანხა საზღვარ გარეთელი ფულისა. მხოლოდ საქმეს დაწყება უნდა. სადაც არის პარკიც შემოდის და მთავრობისათვის საჭიროა იცოდეს ვაჭრები ხელს მოჰკიდებენ პარკის წარმოებას თუ არა. ან თუ რაიმე დახმარებას მოითხოვენ ვაჭრები მთავრობისაგან. თუ პარკის საქმის წარმოებას ვაჭრებმა ხელი არ მოჰკიდეს იმ შემთხვევაში პარკის საქმის წარმოებას შეუდგებიან კოოპერატივების საშვალებით.

✦ სიმინდის **გადმოზიდვის საქმე კავკავიდან.** კავკავიდან ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს რწმუნებული დვალი ატყობინებს, რომ ადგილობრივი მთავრობა სიმინდის გამოგზავნის ნებას არ გვაძლევსო. სწარმოებს მოლაპარაკება ოსების ეროვნულ საბჭოსთან. ამ დღეებში ყველაფერი გამოირკვევა.

✦ **გუბერნიის კომისარი.** ჩხიკვიშვილი ფოთიდან ქუთაისში უკვე დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

✦ **საქართველოს სამხედრო გზაზე.** მთავრობის განკარგულებით საქართველოს სამხედრო გზის დასაცავათ განაწილდა მფრინავი რაზმები. ამ ჟამად მფრინავი რაზმები იმყოფება მცხეთაში, დუშეთში, ყაზბეგში და დარიალში.

✦ **აფხაზეთის სახალხო საბჭომ** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას თხოვნით მიმართა, რომ ანასქიასთან საბრძოლველათ აფხაზეთში გაგზავნილ იქმნეს რაზმები.

✦ ს. **კოდორი.** (აბაშის რაიონი) 24 მაისს ღამით ორი ბოროტგამზრახველი თავს დაესხა კოდორში მცხოვრებ ქვრივ ოლგა არტოზიას. უკანასკნელმა გაქცევა დააპირა მაგრამ ბოროტგამზრახველებმა იგი დახვრიტეს.

✦ **სიმინდი.** ფოთის ქალაქის მოურავის მოადგილე ქუთაისის გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ ფოთში დიდი შიმშილობაა და ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის წევრი კოპაძე სიმინდს არ იძლევაო.

✝ **ვლ. გობეჩია.** ივნისის 19-ს, ნაშუადღევის პირველ საათზე გარდაიცვალ, ყოფილი სამხედრო და საზღვაო მინისტრი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი ვლადიმერ გობეჩია, რომელიც წინადღით ნ. წულიკიძემ რევოლვერის სამი ტყვიით დასჭრა.

✦ **მკვლელობა.** ნაოლალევში ადგილობრივმა მილიციონერმა კვესალავამ შეტაკების დროს ბოლშევიკურ ბრბოდან მოკლა ორი კაცი.

✦ **შეტაკება აბასტუმნის გზაზე.** როგორც გადმოგვცემენ აბასთუმნის გზაზე ჩვენს ჯარსა და მუსულმანების ბრბოებს შორის შეტაკება მომხდარა. [illegible]

✦ **ტელეფონის სადგური.** ქუთაისის ტელეფონის სადგურის გამგეთ დაინიშნა ტეხნიკი სიმონ ჟორჟოლიანი.

✦ **ერობის გარშემო** 25 ივნისისათვის ქუთაისში დანიშნულია ქუთაისის მაზრის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა კრება. განიხილავენ ერობის შემოღების საქმეს და გაეცნობიან საერობო დებულებებს.

✦ **საქონლის აღმოჩენა.** სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა 18 ივნისს ჯაჭვის ხიდთან ფეხსაცმელების მკერავს მასხარაშვილს აღმოუჩინა დიდძალი ფეხსაცმელების ტყავეულობა, რომელიც თებერვალში დაეკარგა ზვიადაძეს. ნაწილი ტყავეულობისა თბილისს გაუგზავნიათ.

✦ **დაპატიმრებანი.** ქუთაისში სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ცნობილი ყაჩაღი ივანე ლომთაძე, რომელსაც ბრალდება სხვადასხვა ავაზაკობა. ლომთაძე საგუბერნიო ციხეში მოათავსეს.

— დააპატიმრეს გიორგი ნიჟარაძე, რომელსაც თბილისში ჩაუდენია სხვადასხვა ბოროტება. იგი თბილისს გაგზავნეს.

— მიმწოდებელ კომიტეტში შაქრის მოპარისათვის დააპატიმრეს ავსტრიის ქვეშევრდომი ლუკა ჟურბო.

— დააპატიმრეს ქურთი ჯანდირა დამტან-ოღლი, რომელმაც დანით დასჭრა სპარსელი.

✦ **საადგილ-მამულო კომიტეტში.** ქუთაისის სამაზრო საადგილმამულო კომიტეტმა მიწების ჩამბარებელ კომისიებს მისწერა რომ დააჩქარონ ცნობების გამოგზავნა თუ რომელმა კომისიამ სად რამდენი დესეტინა მიწა ჩაიბარა.

✦ გასული წლის ოქტომბრის პაგრომში მონაწილეობისათვის ამ დღეებში ქუთაისში დააპატიმრეს შემდეგი პირები: ერ. რუსაძე, დომ. კიკაბიძე, ივ. მამაგეიშვილი და ერ. ვახტანგაძე, დაპატიმრებულნი ყველა ციხეში მოათავსეს.

---

მოგეხსენებათ, როცა კაცს ჯიბეში ფული აქვს მხიარულია ხოლმე, თუნდა სოციალისტიც იყოს და მთელი ქვეყნის ჯავრიც ზურგზე ეკიდოს.

ჩემ ცოლს ღვინის ყიდვა არ უნდოდა. უიმისოდაც მსმელის სახელი მაქვს დავარდნილი, თუმცა არც ბოთლით გამიტეხია თავი ვისთვისმე და არც კიბეზე დავგორებულვარ ჩემს დღეში...

ხვეწნა დიდხანს არ დამჭირებია. ან კი რომელი ცოლი არ დამორჩილებია ქმრის სიტყვა, როცა ფულები ჩაუჩხრიალებია ხელში და ჩემი ულტიმატუმიც (რა მაგარი სიტყვაა, ეს ტიალი!) აღსრულებულ იქნა.

ნახევარ საათს შემდეგ მთელი ოჯახობა შემოვსხდომოდით სასადილო მაგიდას და გემრიელად შევექცეოდით საუზმეს... სადილს... ვახშამს... რაც გინდათ უწოდეთ ღარიბი კაცის ერთჯერ პურის ჭამას დღეში, — თუმცა ჩემი ამხანაგები ყოველთვის „ბურჟუებად" გვთვლიდენ მეცა და ჩემს სახლობასაც...

ტყვილად კი არ არის ნათქვამი: ზოგისა ბაშბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო!..

შინ თუ გარეთ ნატისუსალი ამდის. ჩემს სიცოცხლეში ხუთი მანეთი არ დამიხარჯავს ჩემს ნებაზე — თუნდა ლამაზი ქალისათვის ვარდის საყიდლად: სააშიკოდ, სალაღობოდ, და ბურჟუათ კი ვითვლები!.. რითი ვარ მე ბურჟუა და რათ უნდა იყოს სოციალისტი, თუნდაც, ჩემი კარგი ნაცნობი მოქალაქე არისტარხ ანტიპოდის ძე თაფლბუზიანი, რომელსაც ოცი დუქანი ეკუთვნის ბაზარში, სამი სახლი უდგია, ოცი-ათასი მანეთი, შემოსავალი აქვს (ძველის კურსით). ორი პიანინო, სამი ფორტეფიანო და სხვადა სხვა.

უკაცრავად, მგონი, აქ კი ცოტა გადავაჭარბე! პიანინოები და ფორტეპიანოები არ დამითვლია, მაგრამ არისტარხე ანტიპოდის ძე თაფლბუზიანსა და მის მეუღლეს მარტო ტანისამოსი რო აცვიათ, უკანასკნელი... უკანასკნელი, ამ მამასისხლობის დროს, ეღირება რვა, —ათი ათასი მანეთი...

აი, მოდის არისტარხე ანტიპოდის ძე: ხელზე — მშვენიერი ლაიკის ხელთათმანები, ფეხებზე დიდებული, რაღაც უცნაური, ძვირფასი ტყავის (სახელი არ ვიცი) პრიალა წაღები, ტანზე აცვია ინგლისურ მაუდის საზაფხულო პალტო, როგორც იმერეთში ეძახიან, — თავზე ყურთუკივით ლბილი „პანამა"...

უკაცრავად, ცოტა ხანს შევწყვეტავ ჩემს მოთხრობას და ხელდახელ ერთ პაწია ამბავს გიამბობთ, თორე მერე დამავიწყდება... „პანამაზე" გამახსენდა.

იმ დღეს, ახალი დეკრეტის ძალით, ვრთ ბერს გაკრეჭა უნდოდა. მივიდა ცნობილ სოციალდემოკრატ ვაჭართან (ჩვენში ასეთი ვაჭრებიც არიან) და „პანამა" დააფასებინა.

— თქვენის ხათრით, უკანასკნელი, ოთხასი მანათი ეღირებაო. — უთხრეს სოციალ-დემოკრატმა ნოქრებმა საცოდავ ბერს ისე შეეშინდა, რომ დღესაც გაუკრეჭავია. ამ გვარად, სოციალ-დემოკრატებმავე დაარღვევინეს სოციალ-დემოკრატიული დეკრეტი!..

ჰო! იმას ვამბობდი: თავზე ჩინებული პანამა ხელში — ოქროთი დასევადებული ვერცხლის თავიანი ჯოხი...

მოდის არისტარხე ანტიპოდის ძე მედიდურად... პაპიროზის წევითა.

გვერდზე მოსდევს მეუღლე, მშვენიერი ციცინო, — ხელსახოცის ქნევითა.

ცხელოდა... ციცინო სახეს იგრილებდა... ტანს უცვე... მაგრამ გულ-ახდილ ად მოგახსენებთ ქალის არც ერთი ეშმაკური სამკაულის სახელი არვიცი! ეს კია, რომ სულ იალ ციალ-პრთალი გაუდიოდა და ფულად მისი სიმკაული იმდენი ეღირებოდა, რამდენიც მე სიზმარშიაც კი არ მინახავს, თუმცა ბურჟუას მეძახიან.

ციცინო ლამაზია, ეშხიანი, ჯერ ისევ ახალგაზრდა. როცა ქმართან არის თვალებს ისე ატრიალებს რომ ეტყობა არისტარხე ანდიპოდის ძის მბრძანებელი და იჭვიანიც უნდა იყოს.

არისტარხე ანტიპოდის ძე სულ განაბული მოსდევს ხოლმე გვერდით და შიშისაგან ქალებისათვის ვერ შეუხედნია,

რათა ჰქვიათ ამათ სოციალისტი და მე კი ბურჟუა?

ალბად იმიტომ, რომ სოციალისტურ პარტიაში არიან ჩაწერილნი, წითელი დროშები აქვთ მდიდრულ აივანზე გამოკიდებული და თვის ქონების დასაცავად, სხვის ქონებას ჰპირდებიან მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ!

მაშ, სხვა რა უნდა იყოს მაგრამ...

ეიჰა! მგონია ქიდევ ავურიე! მე დღევანდელ ამავს გადავყე და სულ დამავიწყდა რომ რევოლუციამდე მომხდარ ჩემს თავგადასავალს გიამბობდით...

მართალი მითხრა იმ დღეს ციცინომ: კაცი თუ სოციალისტი არ არის, ვერაფერი შვილიაო! ოღონდაც! ან კი რის მაქნისი ვარ? იმ დროს, როდესაც წყალის მზიდავი, მეწაღე, კურტნიანი მუშა და კონდიტრის გოგოც კი რვა საათში ხუთ თუმანს იმუშავებს, მე მთელი დღე მშიერი ვილრძობი ხოლმე ჩვენს „რეაქციონურ" რედაქციაში და აბა საიდან გავსოციალისდებოდი, თუ ღმერთი მწამს, ან როგორ მოვახერხებ დაღაგებით ლაპარაკს?..

მაშ, მეტი ღონე არ არის ისევ იქიდან უნდა დავიწყო, როცა მე და ჩემი სახლობა ამ 7—8 წლის წინად ვისხედით მაგიდასთან და ჩემი ჩარჩი კლიენტის ფულით ნაყიდ სანოვაგეს შევექცეოდით...

ყველაზე გემრიელი მეჩვენა ცივ-ცივი ღვინო. გადავკარ ერთი ჭიქა, მეორე და გული ჩამეწმინდა.

აქ მინდა ქება დიდებით მოვიხსენიო ღვინო, ღვინო კახური, მაგრამ მეშინია!..

ბოროტი ხალხია დღევანდელი ქართველი სოციალისტები! რომელიმე მათგანი ამოიღებს ამ ადგილს ჩემის მოთხრობიდან, და თავის სოციალისტურ გაზეთის „პრესად" გააკეთებს, იმის დასამტკიცებლად, რომ ბურჟუები (თუნდა როგორიც მე ვარ) პურსა სჭამენ და ღვინოსა სმენ, ამიტომ უნდა ჩამოვახრჩოთ ეს პროლეტარების მოღალატენიო.

— ნუ! ბოლ ს-ნიმი! გავიმეორებ დიდად პატივცემულ არისტარხე ანტიპოდის ძის საყვარელ ფრაზს მართლა, თქვენ მგონი არ იცით რომ, თუმცა ბ-ნი არისტარხე ქართველი სოციალისტია, მაგრამ თავის დღეში ქართულად არ ლაპარაკობენ ოჯახში: ეშინიათ რუსული „აქცენტი" არ წაუხდეს ცოლსა, შვილებსა და, — როცა ეყოლებათ, — შვილიშვილებსაც კი!

მესამე ჭიქა რო გადაკან ჩემს მეუღლეს შევხედე — და ღმერთოვ შეგცოდე — არშიყულად გავუღიმე კიდეც...

— რას იღრიჭები? გამიცინა იმანაც...

ეჰ! რა კარგი გოგონა იყავ ერთ დროს შენ რომ ისე მოგრთო, როგორც ირთვებიან ციცინო, ხუტუ, ცაცუ, ჭუჭი, ცუცუ და სხვანი, ახლაც ჩინებული იქნები მეთქი!

— დაიკარგე, დოყლაპიავ! ოცი წელიწადია შენს ხელში ვარ და ერთი რიგიანი საგარეო კაბაც კი ვერ მიყიდია, — საყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დონის ოლქში

**ვაჭარ მრეწველთა ყრილობა.**

დონის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობის თავმჯდომარემ ე. ს. გოლდინმა წამოუყენა ყრილობას საკითხი მრეწველთა და დონის დროებითი მთავრობის ურთი-ერთობის შესახებ.

თავის ვრცელ სიტყვაში გოლდინი შეეხო ვაჭარ მრეწველთა კლასის ისტორიას და მის დღევანდელ მდგომარეობას.

ბოლშევიკური ტერორის ხანაში ჩვენ დახშობილი გვქონდა მოქმედების სარბიელი.

ცდილობდენ ჩვენ ავეძულებიეთ სანგრების სათხრელად. მაშასადამე შეეძლოთ ჩვენ ყოველ წუთში მოვეკალით. გერმანელების ჩამოსვლამ გვიხსნა ამ ხიფათიდან. სრულიად ბუნებრივი იყო მათი ჩამოსვლით გამოწვეული ჩვენი სიხარული, მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა, ჩვენში მოვიდენ ისინი ვისი წინაამღდეგაც ჩვენ გვიწვევდენ.

გერმანიის სამხედრო წარმომადგენელმა იხმო ვაჭარ-მრეწველოა წარმომადგენლი. გაიგზავნა გოლდინი და ვაისბერი, რომლებმაც მოახსენეს, გერმანიის სამხედრო უფროსს, რომ ვაჭრობა-მრეწველობა ძლიერ გაურკვეველ მდგომარეობაშია: ბრძანებას სცემს ერთის მხრით სკოროპადსკი, მეორეს მხრით დონის დროებითი მთავრობა. რაც შეეხება გერმანელთა სამხედრო უფროსის განკარგულებას, ჩვენ მას შევასრულებთ, როგორც სამხედრო ძალის განკარგულებას.

შემდეგ ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელი მიწვეულ იქმნა დონის ოლქის „გრადონაჩალნიკთან", რომელთანაც საუბრის დროს, სხვათა-შორის გამოირკვა, რომ როსტოვი უსათუოდ დონის ოლქში შევა.

ვაჭარ-მრეწველთა კლასის წარმომადგენლებმა სურვილი გამოთქვეს რუსული ძალა-უფლების აღდგენისა.

ჩვენ არასოდეს არ ვიყავით მონარქიის დამცველი, ჩვენ გვესმოდა პროფ. ალექსიევის სიტყვები: „მოგვეცით კარგი პოლიტიკა, და მოგცემთ კარგ ფინანსებს" — აცხადებდენ ისინი.

# საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებს

ვაქვეყნებთ რა ქვემო მოყვანილ ცნობას, ვთხოვთ ყველა ქალაქების გამგეობებს აუცილებლათ გამოგზავნონ თავისი წარმომადგენელნი თფილისს ამა წლის 23 ივნისს, ახალი სტილით, დილის 11 საათზე.

ვისაც ქუთაისიდან წასვლა უფრო ეხერხება, ისინი შაბათს, 22 ივნისს, ქუთაისს უნდა ჩამოვიდენ, გამოცხადდენ ქალაქის გამგეობაში და აქედან საგანგებო ვაგონით გაემგზავრებიან თფილისს იმ საღამოსვე 9 საათზე და 40 წამზე.

ამასთანავე ვაცნობებთ ქალაქებს, რომ ქვემო აღნიშნული საკითხების განსახილველათ მოწვეული იყო 18 ივნისს, ქუთაისის ქალაქის თავის მიერ, ქუთაისის გუბერნიის ქალაქთა გამგეობების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც გამოცხადდენ შემდეგი ქალაქის წარმომადგენელნი: ფოთის, ჭიათურის, სენაკის, ზუგდიდის, სამტრედიის, ხონის და ლანჩხუთის. თათბირმა დაადგინა ეთხოვოს ყველა ქალაქებს რათა გაგზავნონ თავისი წარმომადგენლები თფილისს რადგან მეტათ საგულისხმო საკითხებია გასარჩევი.

ცნობა ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებისა შემდეგია:

„იმ ტეხნიკურ ინვენტარისა და მასალების, რომელიც მრავლათ დარჩება ომის გათავების შემდეგ გაუქმებულ საზოგადოებრივ და სამხედრო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, **სისწორით და საჩქაროთ განაწილებისთვის** და აგრეთვე იმ მიზნით, რომ შეიქმნას თფილისში მთავარი ტეხნიკური საწყობი მთელი მხარის ქალაქებისთვის და ერობებისთვის აუცილებელი ტეხნიკური ქონების მისაწოდებლათ, ტეხნიკური განყოფილება ქალაქთა კავშირისა იწვევს ამა წლის 23 ივნისს, ახალი სტილით, ქალაქთა წარმომადგენლების თათბირს ზემოაღნიშნულ საკითხის შესახებ. ქალაქების წარმომადგენლებს თანვე უნდა ექნეს ქალაქის კეთილ მოწყობის თვის ყველა საჭირო ცნობები, ე. ი. ყველა ის სტატისტიკური ცნობები, რომლებიც ქალაქის თვითმართველობას აქვს ქალაქის გამგეობაში, შემდეგ საკითხებზე: წყალსადენის, კანალიზაციის, საავათმყოფოების, დაგეგმვის, ჭაობების დაშრობის, სარწყავის, შკოლების, სასაკლაოების, ქვაფენილის, წისქვილების, ტრამვაის, კონკის, ქალაქის ამბულატორიის, საბეითლო პუნქტების, განათების, ტელეფონის და სხვა დაწესებულებათა შესახებ.

**საჭირო**ა აგრეთვე ცნობები ყველა იმ სამუშაოების შესახებ, რომლებიც ქალაქის მიერ იყო დაწყებული, მაგრამ რომლების დასრულებაც ომის გამო შეუძლებელი იყო. ქალაქის ყოველ განძრახულ სამუშაოზე საჭიროა შემდეგი ცნობები: როგორი სირთულისაა სამუშაო, რა ღირებულებისა არის იგი, რამდენი მასალაა საჭირო და სხვა.

ვუწევთ რა ანგარიშს იმ მწვავე მდგომარეობას, როდესაც არ ვიცით, რომ ქალაქებისთვის საჭირო მასალა არ იქნება გატაცებული და დაკარგული და აგრეთვე ვიღებთ რა მხვედელობაში, რომ ქალაქები ომის გათავების შემდეგ უნდა შეუდგენ მშვიდობიან, საალმშენებლო მუშაობას **და საჭირო ტეხნიკური მასალის მიღება კი გარედან დიდი ხნის განმავლობაში ძლიერ საძნელო იქნება,** ტეხნიკური განყოფილება დაბეჯითებით სთხოვს ყველა ქალაქების წარმომადგენელთ გამოცხადდენ აღნიშნულ თათბირზე, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება ქალაქებისათვის.

თათბირი დანიშნულია 23 ივნისს დილის 11 საათზე, სომხის ბაზარი, 6, ტეხნიკური განყოფილება საგორისა.

ქუთაისის გუბერნიის ქალაქთა წარმომადგენელთა მონდობილობით ქუთაისის ქალაქის თავი

**დ. კალანდარიშვილი**

# სამეგრელოში.

თუ როგორი აზრისა არიან საქართველოს სხვა კუთხეების გლეხები განსვენებული სეიმის მიერ შეთხზულ მიწის დეკრეტის შესახებ, არ ვიცი, რადგანაც არ მქონია შემთხვევა მათთან ყოფნისა, მაგრამ რაც შეეხება სამეგრელოს, ამის შესახებ კი შემიძლია მკითხველს თვით მეგრელი გლეხის სიტყვები გაუზიარო, ვამცნო გლეხის აზრი და შეხედულება.

როდესაც სოფლად დამფუძნებელ კრებისთვის არჩევნები სწარმოებდა, იმარჯვებდა სია № 1. რატომ ხდებოდა ასე? რა ჰპოვა გლეხმა საერთო ამ ნომერში მოთავსებულ პირთა პოლიტიკურ მრწამსთან?

ამაზე პასუხის გაცემა მეტად ადვილია. გლეხები რომ კერძო საკუთრების მოტრფიალენი არიან, ეს თვით სოციალ-დემოკრატებსაც მოეხსენებთ. საკუთრების მოსპობაზე მათთან სიტყვაც კი მეტია, რადგანაც საკუთრების უარყოფას გლეხის არსება ვერასოდეს ვერ შეურიგდება. ამასთანავე, გლეხობა მიწის სივიწროვეს განიცდის, მისთვის საჭიროა მიწა და მხოლოდ მიწა, ყველა საჭირო მასალებით ე. ი. დასამუშავებელ იარაღებით. ამას მოითხოვს გლეხი. რომელ პარტიას გაჰყვებოდა გლეხი, მოტყუებული რომ არ იყოს? ნუ თუ ხმას მისცემდა იმ სიას, რომელიც საკუთრების მოსპობის პოლიტიკას აწარმოებს და გზათ, საშუალებით ამისათვის გლეხის სისტემატიურ გაპროლეტარებას აღიარებს? თუ გაჰყვებოდა იმ პარტიას, რომელიც იცავს კერძო საკუთრებას და ამასთანავე ებრძვის ისეთს საშუალებას, როგორიც არის გაპროლეტარება? ვუსმინოთ თვით გლეხებს.

ჩვენ —ამბობს იგი, თავიდანვე სოციალ-დემოკრატების ვიყავით, რადგანაც ისინი მუშაობდენ ჩვენში ამდენი ხანი და ამ პარტიას ვიცნობდით, როგორც მუშათა პარტიას. უკვე თუთხმეტი—ოცი წელიწადია, რაც მუდამ ერთს და იმავეს გვეუბნებოდენ, რომ მემამულეების მიწას, რომელსაც ჩამოვართმევთ საკუთრებად, უფასოდ დაგირიგებთო. სხვა მათი ჩვენ არაფერი გვესმოდა.. გლეხის საქმე მიწა იყო და მიწის საკითხზე, როგორც მოგახსენეთ, ისე გვიპასუხებდენ ჩვენ, შეუგნებელმა ხალხმა, რასაკვირველია, ნასწავლ კაცებს დაუჯერეთ და დღემდე ის ვიცოდით რომ, როდესაც მეფე ნიკოლოზს ტახტიდან ჩამოაგდებენ და მოხდება რევოლუცია მოგვცემდენ მიწას, ისე როგორც წინეთ გვპირდებოდენ. დღეს კი დროც. აი დღეს რევოლუციაც არის უკვე, ყველაფერი არეულია, აღარ არის რუფე, რომელიც სულ უშლიდა ყოველივე სიკეთეს, მაგრამ ამდენი ხანი მიწის შესახებ ჯერ არავითარი ზომები და კანონები არ გვინახავს. ყოველდღე გვესმოდა, რომ სულ მალე გადაწყდება მიწის საკითხი და დაგვაკმაყოფილებდენ. ჩვენ მიწის საკითხი გვაინტერესებდა, დანარჩენი, რაც ხდებოდა ქალაქებში, ჩვენ არ ვიცოდით; დარწმუნებული ვარ, როგორც მე ისე მრავალია სოფლად ჩემისთანა გლეხი, რომელმაც არც კი იცის, თუ ვის ხელში ვიმყოფებით. ეს გასაკვირველიც არ არის. ახლა ჩვენში უკვე მოვიდა ხმა, მოდიან მიწების გასაყოფად. მაგრამ ვაი ამისთანა გაყოფას, როგორსაც თურმე აპირებენ. ისეთი წესი, რომლითაც ჩვენ მიწებს გვირიგებენ, სრულებით მიუღებელია—ჩვენთვის, თურმე მემამულეს ართმევენ უფულოდ ნორმაზე მეტს, მაგრამ კერძო საკუთრებად, უფასოდ არავინ გვაძლევს, როგორც ამას წინეთ გვპირდებოდენ. მიწას იჯარით მოგცემენო გვეუბნებიან. ე. ი. ყოველ წელიწადს იჯარა უნდა ვიხადოთ და მიწა საკუთარი როდი იქნება ჩვენი. ასეთი წესი ბატონყმობის დროსაც კი იყო. მე მინდა რაც მაქვს საკუთარი იყოს, საშვილიშვილო, თორემ შენ რომ მითხრა: წადი, ის ადგილი დაამუშავე, მხოლოდ მოსავლიდან ამდენი უნდა იხადო ყოველ წელიწადს, ასე რად მინდა. მომეცით, ბატონო, მე მიწა, მაგრამ უფულოდ ღმერთმა მაშოროს, სხვის წართმეული მე რად მინდა, მივცემ მიწაში ფულს და საკუთარი მაინც იქნება. ასეთია ჩემი ამხანაგების აზრიც.

ასე მსჯელობს მეგრელი დღეს და მას ბანს აძლევს მრავალი მისი ამხანაგი. ამის შემდეგ, არ ვიცი, როგორ შედეგებს მოიტანს სოფლად ამ დეკრეტის პრაქტიკულათ განხორციელება!

**ნარაზენელი.**

# ქართული ენის კურსები.

დღემდის, ქართული ენას აბუჩად იყო აგდებული. ამ ენის შესწავლისათვის თავს არავინ არ იტკენდა და იგი ზედმეტ ბარგათ მიაჩნდათ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენი დედა ენის შესწავლის საქმე უცებ შეიცვალა. დღეს ბრალიანი და უბრალო აშკარად ჰხედავს, რომ დედა-ენის უცოდინარობა არამც თუ სირცხვილია, არამედ პირდაპირ დანაშაულობაც არის; ამისათვის ყველამ ქუდს ხელი იტაცა და ქართული ენის შესწავლას შეუდგა. ამის დასამტკიცებელ საბუთს ქუთაისის ქართული ენის კურსები იძლევა.

სულ ერთი კვირა არ გასულა რაც ეს კურსები გახსნა დეკანოზ კელენჯერიძემ და ამ კურსების მსმენელთა რიცხვი უკვე ასზე მეტია, მსმენელების უმრავლესობა პროვინციებიდან არის ჩამოსული მსმენელთა შორის ბევრია მღვდლებიც. ლექციებს ყველა გულდასმით ისმენს და საყურადღებო შენიშვნებს ჩაუწერლად არ სტოვებენ.

სამწუხაროდ დარბაზი, სადაც ლექციების კითხვა სწარმოებს, ერთობ პატარაა და არამც თუ მაყურებელთ, ნამდვილ სმენელებსაც ვერ იტევს. ისიც აღსანიშნავია, რომ მარტო ერთი ლექტორი ქართული ენის ყველა დარგიდან ვერ შესძლებს ამ საქმის თავის გართმევას.

კითხვა ისმება: დასავლეთ-საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირი, რომელიც ხშირად სულ უბრალო საქმეებს დიდ ენერგიას ანდომებს, ამ დიდ საქმეს სათავეში რათ არ უდგია და არ ხელმძღვანელობს?

**მ. ბუაჩიძე.**

დურით კი არა, ისე, ალერსისთვის, მითხრა ჩემმა ცოლმა და ამით ისევ თავისი კაი ქალობა დაამტკიცა, ვიდრე ჩემი კაი —კაცობა.

თქვენ ხომ იცით რა ეშმაკები არიან ქალები! მართლადაც, მეტის მეტად მოსიყვარულე ან, ახლანდელი ენით რომ ვსთქვათ დიდი „რეაქციონერი" უნდა იყოს ქალი რომ ჩემისთანა ღარიბს და ახირებულ კაცს ბოლომდე შერჩეს!..

ჩვენი საუზმე... სადილი, თუ ვახშამი — რაც გნებავთ—მეთქი—დაუძახეთ საწყალი კაცის პურის ჭამას —სიცილ ხარხარით გავათავეთ. ბავშვები ფრთხიალით გაცვინდენ ეზოში სათამაშოდ, ცოლმა ჭურჭლის ალაგებას მიჰყო ხელი, მე კი დავიწყე ოთახში ბოლთის ცემა.

უცბად გამახსენდა ჩემი ჩარჩი კლიენტი და მისი საქმე ოლქის სასამართლოში!..

რაცა ვსი და ვჭამე შხამათ წამომივიდა!

ვაი, ის იყო, რომ ოლქის სასამართლოში საქმის დაცვის ნებას არ მომცემდენ, თუ არ შევიტანდი წლიურ გადასახადს—შვიდ თუმან ნახევარს.

მართალია ნაფიც-ვექილის თანაშემწედ ვიყავ ჩაწერილი, მაგრამ იმდენი ვერ ვიშოვნე რომ პირველ ინსტანციის გარდა ოლქის სასამართლოშიც შემეტანა გადასახადი!

ესეც კანონია, რაღა?

ნაფიცი ვექილები, უკვე სახელოვანი და მრავალ კლიენტიანები, არაფერს იხდიან და ყველა ინსტანციებში გზა ხსნილი აქვთ, ნაფიცი ვექილის თანაშემწემ კი — რუსეთიდან ახლად ჩამოსულმა, უსახელომ, ხუთი წლის განმავლობაში უნდა იხადოს წლიურად ორას მანეთამდე სახელმწიფო გარდასახადი საქმეების დაცვის უფლებისათვის...

შეშლილივით წამოვავლე ქუდს ხელი და გავვარდი ნაცნობებ — მეგობრებში ფულის საშოვნელად...

თქვენც არ მომიკვდეთ, ვერას გავხდი! ვისაც მივმართე ყველას პირში სული გაუწყდა.

სოციალისტმაც, ბურჟუამაც, მეგობარმაც, ნათესავმაც მხოლოდ ლაქლაქი და ლაპარაკი იცის, ოქროს ზვინები არა შურს ქვეყნისთვის, მაგრამ როცა ჰეშმარიტ ხელის გამართვაზე მიდგება ხოლმე საქმე, ისე იღრიჯებიან, რომ მზადახარ ქუდიც—კი გაჰყიდო და ამ ფულით ნაყიდი ლუკმა პური შესთავაზო.

ეხ, ცხოვრებავ, ცხოვრებავ, შე თვალთმაქცო და დაუდეგარო!

შუაღამისას დავარუნდი სახლში, დაღალული, დაქანცული!

— სად ბრძანდებოდი აქამდის? —წყენის კილოთი მითხრა ჩემი ლოდინით გულ გაწყალებულმა ცოლმა.

— საგიჟეთში! ნაღვლიანის კილოთი ვუპასუხე და დავდუმდი, ვით სამარე, თუმცა ცოლი კიდევ დიდხანს მარიგებდა ჭკუას...

დრო გადიოდა. ღამის პატურქი ძირ ძირ იწეოდა. მე კი ისევ იმაზე ვფიქრობდი, თუ სად მეშოვა შვიდ თუმან ნახევარი!...

გარწმუნებთ იმ დროს, ახლანდელ ბოლშევიკებზე არა ნაკლების ხალისით გავსტყებავდი ყველა ბურჟუას, ყველა ოქროს ტომარას, ყველა მოლაქლაქეს და ფუქსავატ ნაცნობ-მეგობარს!

**ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკველია.**

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში